

დუშეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. დუშეთი

31 ივლისის 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი თანიაშვილი - მერის პირველი მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზაქარია ხეხელაშვილი - მერის მოადგილე.

კომისიის წევრები:

დავით შაბურიშვილი - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურის ერთეულის ხელმძღვანელი;

ზურაბ ყაჭიური - ქონების მართვის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ლაშა სალბიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

იოსებ ღარიბაშვილი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის აპარატი:

ირმა ჩოხელი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდა:

მარიამ ზაქაიძე - მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ვალოდა პაპუაშვილი - შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭართლის სანიაღვრე არხების მოწყობა ვალერი გოგიშვილის და კობა გოგიშვილის სახლებთან და სკოლის ასახვევთან გზის დამცავი ზღუდის მოწყობის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 049.00 (ხუთი ათას ორმოცდაცხრა) ლარი.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრის მარიამ ზაქაიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე საშუალებით დუშეთის მუნიციპალიტეტი, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭართლის სანიაღვრე არხების მოწყობა ვალერი გოგიშვილის და კობა გოგიშვილის სახლებთან და სკოლის ასახვევთან გზის დამცავი ზღუდის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 049.00 (ხუთი ათას ორმოცდაცხრა) ლარი.

დაადგინეს:

- 1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი (ტენდერი გამოცხადდეს დღე-ს გარეშე);
- 2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: <https://tenders.procurement.gov.ge>

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

/გ. თანიაშვილი/

/ზ. ხეხელაშვილი/

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

კომისიის წევრები:

/დ. შაბურიშვილი/

/ზ. ყაჭიური/

/ი. ღარიბაშვილი/

/ლ. სალბიშვილი/

/ვ. კობაიძე/

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

/ი. ჩოხელი/